

შეურაცხაობა ასაკის გამო, ბრალის გამომრიცხველი გარემოება, როგორც
დანაშაულის წამახალისებელი ფაქტორი

გურამ ხარშილაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლაში სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია მოგელაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გურამი ხარშილაძე

30/06/2019

აბსტრაქტი

მცირეწლოვნების მიერ ჩადენილი სისხლისსამართლებრივი ქმედებები ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მცირეწლოვნები საზოგადოების ის ფენაა, რომელმაც უნდა შექმნას მომავალი, მათი ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბება კი ქართული საზოგადოებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს.

ნაშრომში წამოწეული იქნება პრობლემის როგორც იურიდიული ისე ფსიქოლოგიური მახასიათებლები და განხილული იქნება მათი როლი, რომელიც დანაშაულის ჩადენის შესაძლო ფაქტორი შეიძლება გახდეს.

მოცემული თემის განხილვისას განხილული იქნება სხვა სახელმწიფოების ზღვრული მინიმალური ასაკი, რომლის ქვემოთ პირი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემთხვევაში ბრალუუნარო გახლავთ. ასევე განხილული იქნება ევროპის სახელმწიფოთა მაგალითები და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი პირების მიმართებით გასატარებელი პოლიტიკა, მათ მიერ დანაშაულის ჩადენის/შესაძლო ჩადენის შემთხვევებში.

ნაშრომში განხილული იქნება ქართულ კანონმდებლობა, რომელიც შეეხება 14 წლის ასაკს მიუღწეველი პირების ანტისოციალურ ქცევასა და სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ქმედების ჩამდენი პირების მიმართ ღონისძიებების გატარებას, რომელიც არის მოძველებული და არაეფექტური.

მოცემული თემის ანალიზი მოგვცემს საშუალებას დავინახოთ პრობლემის ნამდვილი არსი და შემდგომში შესაბამის მხარეს მიეწოდოს აუცილებელი რეკომენდაციები ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად.

საკვანძო სიტყვები: ანტისოციალურ ქცევა, ბრალი, შეურაცხაობა, მცირეწლოვანი, არასრულწლოვანი, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი, სუბკულტურა.

Abstract

Criminal proceeding committed by adolescent are one of the actual problems in both scientific literature and social life as well. Young people are the layers of society, who should create the future, and their molding as dignified citizenship is one of the important issues for the Georgian society.

The paper will focus on both the legal and psychological characteristics of the problem and will consider their role as a possible factor in committing a crime.

In consideration of this topic, the minimum age limit for other states will be considered, and the person who commits a crime under that age will become an inncorect. Exsamples of European States will also be discussed and the policy about the persons who do not have the age of criminal liability, in case of committing/maybe committing a crime.

The paper will discuss the Georgian legislation concerning the anti-social behavior of individuals who are not under 14 years old and to take measures which are outdated and ineffective towards the people who have committed the crime according the criminal law.

An analysis of the given topic will allow us to see the real essence of the problem and subsequently submit to the relevant side the necessaty recommendations to solve this problem.

Key words: anti social behavior, fault, insult, underage, a child having a problem with the law, subculture.